



## სიღნაღის მუნიციპალიტეტი

საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის  
გამარტივებული ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

ქ.სიღნაღი

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის.....	3
2. ტექნიკური მოთხოვნები.....	4
3. სხვა მოთხოვნები.....	5
4. დამატებითი ინფორმაცია.....	6
5. სისტემაში ასატვირთ დოკუმენტაციის ჩამონათვალი.....	6
6. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი .....	7
7. დანართი N1 რეკვიზიტები .....	14
8. დანართი №2 გამოცდილება.....	15
9. დანართი №3 მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.....	15

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

## 2. ტექნიკური მოთხოვნები

### 2.1 შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს:

უნდა განხორციელდეს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და შესაბამისი საექსპერტო დასკვნის მომზადებას;

მომსახურება მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალმომარაგების გაუმჯობესებისათვის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და საექსპერტო დასკვნის მომზადება.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები უნდა მომზადდეს შემდეგ ობიექტებზე შემდეგი საპროექტო დავალების მიხედვით:

1. სოფ. ანაგაში ბუნებრივი წყლების სათავე-ნაგებობების რეაბილიტაცია - სავარაუდო ღირებულებით 70 000 ლარი.
  - 5 სათავე-ნაგებობის რეაბილიტაცია.
2. სოფ. ვაქირში წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია - სავარაუდო ღირებულებით 30 000 ლარი.
  - სათავე-ნაგებობებისა და ქსელების რეაბილიტაცია.
3. სოფ. ერისიმედში სასმელი წყლის ჭაბურღილისა და ქსელების მოწყობა - სავარაუდო ღირებულებით 85 000 ლარი.
  - ჭაბურღილის მოწყობა, 20 ტონიანი სამარაგო ავზის მონტაჟი, ელ. ტუმბოს მოწყობა და არსებულ ქსელზე დაერთება.
4. სოფ. ბოდბისხევში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია - სავარაუდო ღირებულებით 280 000 ლარი.
  - არსებული ქსელის შეცვლა „ჭაბაანების“ სათავე-ნაგებობიდან რეზერვუარამდე;
  - ჭაბურღილის მოწყობა, 50 ტონიანი სამარაგო ავზის მონტაჟი, ელ. ტუმბოს მოწყობა და არსებულ ქსელზე დაერთება.
5. სოფ. ტიბაანში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია - სავარაუდო ღირებულებით 400 000 ლარი.
  - სათავე-ნაგებობის რეაბილიტაცია;
  - ძველი დაზიანებული ქსელების შეცვლა;
  - არსებული რკინა-ბეტონის რეზერვუარის რეაბილიტაცია.
6. სოფ. ქვემო მაჩხაანში ჭაბურღილის მოწყობა - სავარაუდო ღირებულებით 70 000 ლარი.
  - ჭაბურღილის მოწყობა, 20 ტონიანი სამარაგო ავზის მონტაჟი, ელ. ტუმბოს მოწყობა, ახალი ქსელის მოწყობა.
7. სოფ. ხირსაში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია - სავარაუდო ღირებულება 80 000 ლარი.
  - სათავე-ნაგებობის რეაბილიტაცია;
  - არსებული დაზიანებული ქსელების შეცვლა.
8. სოფ. ხორნაბუჯის და სოფ. ყარადაჯის სასმელი წყლის ქსელების მოწყობა - სავარაუდო ღირებულება 40 000 ლარი.
  - ორი 25 ტონიანი რეზერვუარის მოწყობა;
  - ახალი ქსელის მოწყობა.
9. სოფ. მადაროში ჭაბურღილის და ახალი ქსელების მოწყობა - სავარაუდო ღირებულება 50 000 ლარი.
  - ჭაბურღილის მოწყობა, 20 ტონიანი სამარაგო ავზის მონტაჟი, ელ. ტუმბოს მოწყობა, ახალი ქსელის მოწყობა.
10. სოფ. ილიაწმინდაში ჭაბურღილის მოწყობა - სავარაუდო ღირებულება 30 000 ლარი.
  - ჭაბურღილის მოწყობა და არსებულ ქსელზე დაერთება.
11. სოფ. ძველ ანაგაში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია - სავარაუდო ღირებულება 800 000 ლარი.
  - სათავე-ნაგებობის რეაბილიტაცია;
  - ძველი დაზიანებული ქსელების შეცვლა;
  - არსებული რკინა-ბეტონის რეზერვუარის რეაბილიტაცია.

## 2.2. საპროექტო-სახარჯთარიცხვი დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს:

- ა) თავფურცელს - ობიექტის დასახელებასა და მისამართს;
- ბ) განმარტებით ბარათს;
- გ) სადეფექტო აქტს;
- დ) სქემატურ ნახაზებს კოორდინატთა სისტემაში;
- ე) სამუშაოთა მოცულობის უწყისს;
- ვ) სიტუაციურ გეგმებს სათანადო დეტალიზაციით;
- ზ) განივი და გრძივი ჭრილებისა და კვანძების მუშა ნახაზებს;
- თ) ლოკალურ და ნაკრებ ხარჯთაღიციხვებს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით;
- ი) სრული საპროექტო-სახარჯთაღიციხვო დოკუმენტაციის სათანადო ლიცენზიის მქონე საექსპორტო დაწესებულების (ექსპერტის) დადებითი დასკვნას.

## 2.3. საავტორო ზედამხედველობა:

მიმწოდებელმა უნდა უნდა უზრუნველყოს საავტორო ზედამხედველობა პროექტის განხორციელების პროცესში (საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით კონსულტაციის გაწევა, საჭიროების შემთხვევაში საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება, ხელშეკრულების პირობებისა და ღირებულების ფარგლებში) დამატებითი ანაზღაურების გარეშე.

2.4. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში უნდა გააჩნდეს ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის შესაბამისი საპროექტო მომსახურება არანაკლებ 200 000 ლარის ოდენობით (წარმოდგენილ იქნეს დამადასტურებელი დოკუმენტაცია - ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები და შესაბამისი ანგარიშსწორების დამადასტურებელი დოკუმენტი).

2.5. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს უნდა ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების გასაწევად საკუთრებაში/სარგებლობაში უნდა გააჩნდეს თანამედროვე ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისი გეოდეზიური მოწყობილობები, საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოებისათვის შესაბამისი ტექნიკა და სხვა შესაბამისი დანადგარები (სისტემაში აიტვირთოს ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია).

## 3. სხვა მოთხოვნები

### 3.1 მიწოდების ვადა და ადგილი:

3.1.1 მიწოდების ვადა: გამარჯვებულ ორგანიზაციას ევალება ეტაპობრივად 1 თვის ვადაში, თითოეული პროექტის (სრული საპროექტო-სახარჯთაღიციხვო დოკუმენტაცია) 3 ეგზემპლარის წარმოდგენა, როგორც ბეჭდური, ასევე მისი ელექტრონული ფორმით.

3.1.2 მიწოდების ადგილი: ქ. სიღნაღი, დავით აღმაშენებლის მოედანი №2

### 3.2 სატენდერო წინადადების ფასი:

3.2.1 სატენდერო წინადადებაში ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

3.2.2 სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარებში.

### 3.3 ანგარიშსწორების პირობები:

3.3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

3.3.2 ანგარიშსწორება მოხდება 2013 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 დღის განმავლობაში.

3.3.3 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) გამოიყენება სახელშეკრულებო ღირებულების 30%-ის ოდენობით, მხოლოდ წარმოდგენილი იდენტური საბანკო გარანტიის საფუძველზე.

#### 4. დამატებითი ინფორმაცია:

4.1 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

4.2 სუბკონტრაქტორი არ გამოიყენება.

4.3 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, როგორც კითხვა-პასუხის მოდულის საშუალებით, ასევე წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ქ. სიღნაღი, დ. აღმაშენებლის მოედანი №2 I სართული. საკონტაქტო პირი: უჩა ნონიაშვილი, ტელ: 599 85 56 10.

#### 5. პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

5.1. რეკვიზიტები დანართი #1-ის შესაბამისად.

5.2. ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების შესახებ დანართი №2-ის მიხედვით, დამადასტურებელი ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები და ანგარიშსწორების დამადასტურებელი დოკუმენტები.

5.3. ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ დანართი #3-ის მიხედვით, ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

## 7. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

პროექტი

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ქ. სიღნაღი

--. --. 2013 წ.

ერთის მხრივ სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობა, წარმოდგენილი -----  
----- სახით (შემდგომში “შემსყიდველი”) და მეორეს მხრივ -----,  
წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ შემდეგზე:  
შემსყიდველმა ჩაატარა ----- ელექტრონული ტენდერი:  
----- სახელმწიფო შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაწიოს მომსახურეობა შემდეგ თანხაზე: ----- (-----) ლარი, ყველა გადასახადის ჩათვლით (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

### 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.3 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და გაწევს მომსახურეობას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
- 1.4. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
- 1.5 „ღლე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

### 2. სტანდარტები და ხარისხი

2.1 ხელშეკრულების ფარგლებში გასაწვი მომსახურეობის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ მოთხოვნებს და სტანდარტებს;

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

3.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურეობის ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.

3.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.6. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.3 პუნქტში აღნიშნული პირები.

3.7 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიის ან სხვა ვალდებულებებისაგან.

4. შესყიდვის ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

4.1 შესყიდვის ობიექტი -

4.2 კლასიფიკატორის კოდი:

5. მომსახურეობის პირობები

5.1 მომსახურეობის კონკრეტული მოცულობა, შესრულების ვადა შემსყიდველის მიერ ეცნობება მიმწოდებელს.

5.2 მიწოდების ვადა – -----  
---

5.3 მიწოდების ადგილი – -----  
---

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2 მომსახურეობის მიღება-ჩაბარება განხორციელდება მათი დამთავრების შემდეგ თანახმად ტექნიკური პირობებისა, მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესებით განსაზღვრული აქტების საფუძველზე.

6.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ:

---

---

---

---

---

6.4 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს



მიმწოდებელი.

6.5 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობის და წუნდების მიზვნის მითითებით.

## 7. ანგარიშსწორება და ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღლო ანგარიშსწორებით ლარში.

7.2 ანგარიშსწორება მოხდება 2013 წლის ბიუჯეტით, -----

7.3 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) - არ გამოიყენება.

## 8. ფასები

8.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

8.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

8.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გათვალისწინებული მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 10. უფლებების გადაცემა

10.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

10.2 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი განცხადება მესამე პირისთვის მთლიანი ან დარჩენილი უფლება-მოვალეობების გადაცემის თაობაზე, აგრეთვე მესამე პირის წერილობითი თანხმობა ხელშეკრულებით განსაზღვრული მთლიანი ან დარჩენილი

ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

10.3 შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში უფლება-მოვალეობების გადაცემა (მთლიანად ან ნაწილობრივ) ფორმდება წერილობითი სახით შემსყიდველსა, მიმწოდებელსა და მესამე პირს შორის.

## 11. სუბკონტრაქტორები

11.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადადარე ხელშეკრულების დამატების სახით.

11.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

11.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

## 12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუზღვანოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმდებამ მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავის გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

12.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

## 13. მხარეთა უფლება-მოვალეობები

13.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

13.2 შემსყიდველი ვალდებულია:

13.2.1 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

13.2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

13.2.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს მომსახურეობის ღირებულება.

13.2.4 წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

13.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

13.3.1 განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;

13.3.2 განახორციელოს შესრულებული მომსახურეობის ზედამხედველობა და შეამოწმოს მათი შესაბამისობა შემსყიდველის ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების გათვალისწინებით.

13.3.3 ხელი მოაწეროს მომსახურეობის მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტებს;

13.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

13.4.1 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

13.4.7 ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე დაუშვას შემსყიდველი და მისი

წარმომადგენლები მომსახურების ადგილას.

13.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:

13.5.1 მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება;

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1. თუ მიმწოდებელი გადააცილებს შემსყიდველის მიერ მითითებულ სამუშაოს შესრულების კონკრეტულ ვადას, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულების 0,3%-ის ოდენობით;

14.2 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3. თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2 პუნქტის მოთხოვნებს, დაეკისრება პირგასამტეხლო ჩასარიცხი თანხის 0,3%-ის ოდენობით ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

15.1 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად:

ა) თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

ბ) თუ მიმწოდებელი სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

გ) იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს;

დ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ე) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

15.2 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

15.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.4 მე-15 მუხლის 15.1 და 15.2 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

16. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

16.1 იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, ტენდერში გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე – საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების -----%-ის ოდენობით.

16.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის

(ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვა) შემთხვევაში, მიმწოდებელს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა არ დაუბრუნდება).

16.3 საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადას.

16.4 მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დაუბრუნდება მხარეთა შორის შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

16.5 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

## 17. ფორს-მაჟორი

17.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

17.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

17.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

17.4 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

## 18. სადაო საკითხების გადაწყვეტა

18.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

18.2 თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## 19. გამოყენებული სამართალი

19.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული

იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

## 20. ხელშეკრულების ენა

20.1 ხელშეკრულება შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე შედგენილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

## 21. შეტყობინება

21.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

21.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

## 22. გადასახადები და დაბეგვრა

22.1 უცხოური მიმწოდებელი პასუხს აგებს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადების, ბაჟების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

22.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

## 23. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

23.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია -----  
-----

## 24. სხვა პირობები

24.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

24.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

24.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

24.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

24.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

-----

-----

დანართი #1

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

საიდენტიფიკაციო კოდი:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

პრეტენდენტის ხელმოწერა

\_\_\_\_\_

ბ.ა.

დანართი #2

მონაცემები პრეტენდენტის მიერ  
განხორციელებული ანალოგიური  
მომსახურების შესრულების შესახებ

პრეტენდენტის დასახელება \_\_\_\_\_

#	მომსახურების დასახელება	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	ხელშეკრულების გაფორმების თარიღი	ხელშეკრულების ნომერი
1.					
2.					
3.					
4.					
5.					

დანართი #3

ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ

№	მანქანა-მექანიზმებისა და დანადგარის დასახელება	რაოდენობა	მარკა, მოდელი	გამოშვების წელი	მდგომარეობა	საკუთრების ფორმა

ხელმოწერა \_\_\_\_\_

ბ.ა.